



# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

## საინფორმაციო ბიულეტენი №2

(1-ლი ნომბერი - 1-ლი დეკემბერი, 2019 წელი)

### შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან დაიწყო პროექტის - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში“ - განხორციელება. მისი დაფარვის არეალია თბილისი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია და აჭარა.

პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად, საია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს.

### კონსტიტუციური ცვლილებების უარყოფა

2019 წლის 24 ივნისს მმართველი პარტიის თავმჯდომარემ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარება სრულად პროპორციული წესით, ნულოვანი (ბუნებრივი) ბარიერით დააანონსა.<sup>1</sup> საიამ შემოთავაზებული ინიციატივა დადებითად შეაფასა და ხელისუფლებას მოუწოდა, ფართო დისკუსიის საფუძველზე, ბოლომდე მიეყვანა აღნიშნული ცვლილებები.<sup>2</sup>

მიმდინარე წლის 28 ივნისს საქართველოს პარლამენტში დაინიცირდა შესაბამისი კანონპროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომელიც

<sup>1</sup> „2020-ში ჩატარდება პროპორციული არჩევნები ნულოვანი ბარიერით – ივანიშვილი“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 24.06.2019, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/374865/>, განახლებულია: 01.11.2019.

<sup>2</sup> „საია მმართველი პარტიის მიერ შემოთავაზებულ საარჩევნო სისტემას აფასებს“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 24.06.2019, ხელმისაწვდომია: <https://gyla.ge/ge/post/saia-mmartveli-partiis-mier-shemotavazebul-saarchevno-sistemas-afasebs#sthash.kRcZWbHz.dpbs>, განახლებულია: 01.11.2019.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების სრულად პროპორციული წესით, ბარიერის გარეშე ჩატარებას ითვალისწინებდა.<sup>3</sup>

2019 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა დადებითად შეაფასა შეთავაზებული ცვლილება და მიიჩნია, რომ ის მზად იყო პარლამენტის სხდომაზე წარსადგენად.<sup>4</sup>

საკონსტიტუციო კანონპროექტის განსახილველად პლენარული სხდომა 12 ნოემბერს გაიმართა.<sup>5</sup> საზოგადოების წარმოდგენა პარლამენტის წევრთა შორის კონსენსუსის არსებობის შესახებ მცდარი აღმოჩნდა. საკითხზე კენჭისყრა ორჯერ გადაიდო. 13 ნოემბერს საიამ საჯარო განცხადება გაავრცელა და დეპუტატებს მოუწოდა, 2020 წლისთვის პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლისთვის მხარი დაეჭირათ.<sup>6</sup>

საბოლოოდ, კენჭისყრა 14 ნოემბრის პლენარულ სხდომაზე ჩატარდა.<sup>7</sup> 148<sup>8</sup> მოქმედი დეპუტატიდან რეგისტრაცია 141-მა გაიარა. 101-მა დეპუტატმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ ცვლილებას, 3 წინააღმდეგი იყო. ხმის მიცემისგან თავი 37-მა შეიკავა, ყველა მათგანი უმრავლესობის წევრია (35 - მაჟორიტარი, 5 - პროპორციული წესით არჩეული). სხდომას არ ესწრებოდა ქართული ოცნების 7 დეპუტატი. ფრაქციის თავმჯდომარე მამუკა მდინარაძის თქმით, 3-ს საპატიო მიზეზი ჰქონდა.

ამგვარად, ცვლილებისთვის საჭირო 113 ხმა ვერ მოგროვდა.

იმავე დღეს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ერთობლივი საგანგებო განცხადება გაავრცელეს, რომლითაც მმართველ პარტიას და მის თავმჯდომარეს მოუწოდეს, გაიაზრონ ამ გადაწყვეტილების შემდეგ ქვეყანაში წარმოშობილი მძიმე პოლიტიკური კრიზისი და მიიღონ ყველა ზომა მის დასაძლევად. არასამთავრობოების აზრით, აღნიშნულის ერთადერთ და უალტერნატივო გზას პარლამენტის მიერ სრულად

---

<sup>3</sup> „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/18526>, განახლებულია: 01.11.2019.

<sup>4</sup> იურიდიულ საკითხთა კომიტეტის დასკვნა, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/216562>, განახლებულია: 13.11.2019.

<sup>5</sup> „პარლამენტის პლენარული სხდომა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: [http://parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/plenaruli-sxdomebi/plenaruli-sxdomebi\\_news/parlamentis-plenaruli-sxdoma12112019.page](http://parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/plenaruli-sxdomebi/plenaruli-sxdomebi_news/parlamentis-plenaruli-sxdoma12112019.page), განახლებულია: 06.12.2019.

<sup>6</sup> „საია მოუწოდებს დეპუტატებს, მხარი დაუჭირონ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე 2020 წლისთვის გადასვლას“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://gyula.ge/ge/post/saia-moutsodebs-deputatebs-mkhari-dautchiron-proporciul-saarchevno-sistemaze-2020-tslisvis-gadasvlas#sthash.qksHV0mC.dpbs>, განახლებულია: 06.12.2019.

<sup>7</sup> „პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საარჩევნო ცვლილებასთან დაკავშირებული კანონპროექტის კენჭისყრა გაიმართა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: [http://parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/plenaruli-sxdomebi/plenaruli-sxdomebi\\_news/parlamentis-plenarul-sxdomaze-saarchevno-cvilebastan-dakavshirebuli-kanonproeqtis-kenchisyra-gaimarta.page](http://parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/plenaruli-sxdomebi/plenaruli-sxdomebi_news/parlamentis-plenarul-sxdomaze-saarchevno-cvilebastan-dakavshirebuli-kanonproeqtis-kenchisyra-gaimarta.page), განახლებულია: 06.12.2019.

<sup>8</sup> ზაქარია ქუცნაშვილმა მიმდინარე წლის ივნისში, ხოლო ვანო ზარდიაშვილმა - ოქტომბერში, დეპუტატის მანდატები საკუთარი სურვილით დატოვეს.

პროპორციული საარჩევნო სისტემის დაუყოვნებლივ მიღება წარმოადგენს.<sup>9</sup> გარდა ამისა, სამოქალაქო ორგანიზაციებმა და აქტივისტებმა ერთობლივი განცხადებით მიმართეს „ევროპის სოციალისტურ პარტიას“,<sup>10</sup> როგორც ქართული ოცნების პარტნიორს, და მისგან მიმდინარე პროცესის დაკვირვება/შესაბამისი რეაგირება ითხოვეს.<sup>11</sup>

ოპოზიციამ კრიზისული მდგომარეობიდან გამოსავლად ე.წ. „გერმანული საარჩევნო მოდელის“ მიღება მიიჩნია და ხელისუფლებას შესთავაზა, საარჩევნო კოდექსში ცვლილებების განხორციელების გზით შეეცვალა არსებული საკანონმდებლო მოცემულობა.<sup>12</sup> ხელისუფლება, თავის მხრივ, მიიჩნევს, რომ ეს მოდელი მოქმედ კონსტიტუციას ეწინააღმდეგება.<sup>13</sup>

## სამოქალაქო პროტესტი, აქციის დაშლა, მომიტინგეთა დაკავება (18 ნოემბერი, 26 ნოემბერი)

საკონსტიტუციო ცვლილებების უარყოფას საზოგადოების პროტესტი მოჰყვა. 14 ნოემბრიდან პარლამენტის შენობასთან დაიწყო აქციები, რომელშიც ჩაერთნენ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სამოქალაქო აქტივისტები. დემონსტრანტები ვადადელი პროპორციული არჩევნების ჩატარებას ითხოვდნენ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომლითაც მოქალაქეებს მოუწოდა, არ გასცდნოდნენ მშვიდობიანი შეკრების ფარგლებს, დამორჩილებოდნენ პოლიციის მოთხოვნას და დაეცვათ საზოგადოებრივი წესრიგი.<sup>14</sup> 17 ნოემბერს აქციის მონაწილეებმა პროტესტის რადიკალურ ფორმას – პარლამენტის პიკეტირებას მიმართეს. იმავე დღეს შინაგან

<sup>9</sup> „არასამთავრობო ორგანიზაციათა საგანგებო განცხადება“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://gyla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciata-sagangebo-ganckhadeba#sthash.qJtweHZU.dpbs>, განახლებულია: 06.12.2019.

<sup>10</sup> „ქართული ოცნება“ 2015 წლის ივნისიდან „ევროპის სოციალისტური პარტიის“ წევრია.

<sup>11</sup> „არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო აქტივისტების მიმართვა „ევროპის სოციალისტურ პარტიას“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://gyla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebisa-da-samoqalaqo-aqtivistebis-mimartva-evropis-socialistur-partias#sthash.72S0Zi5O.dpbs>, განახლებულია: 06.12.2019.

<sup>12</sup> „რას ნიშნავს არჩევნები „გერმანული მოდელით“|როგორი იქნებოდა ასეთი პარლამენტი“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 14.11.2019, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/405828/>, განახლებულია: 01.11.2019.

<sup>13</sup> „კობახიძემ განმარტა, რატომ ეწინააღმდეგება ე.წ. გერმანული მოდელი კონსტიტუციას“, ტელეკომპანია „იმედი“, 18.11.2019, ხელმისაწვდომია: <https://imedinews.ge/ge/saqartvelo/121584/kobakhidzem-ganmarta-ratom-etsinaagmdegeba-ets-germanuli-modeli-konstitutsias>, განახლებულია: 11.12.2019

<sup>14</sup> „შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება“, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/13127>, განახლებულია: 06.12.2019.

საქმეთა სამინისტრომ კვლავ გაავრცელა განცხადება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ პოლიცია, კანონის ფარგლებში, დაუყოვნებლივ აღკვეთდა აქციის მიმდინარეობისას სამართალდარღვევის ნებისმიერ ფაქტს, ადმინისტრაციული ორგანოების შტურმს ან ბლოკირების მცდელობას.<sup>15</sup> სახალხო დამცველმა განაცხადა, რომ „პიკეტირება, რა თქმა უნდა, არ არის კანონიერი, თუმცა, ამ უკანონოებაზე ის დეპუტატები არიან პასუხისმგებელნი, რომლებმაც პროპორციულ სისტემას მხარი არ დაუჭირეს.“<sup>16</sup>

18 ნოემბერს საიამ გაავრცელა განცხადება, რომლითაც მმართველ ძალას მიმართა, რომ, მართალია, კანონი კრძალავს პროტესტის ასეთ ფორმას, თუმცა, ვინაიდან დემონსტრანტთა ქცევა არაძალადობრივი იყო, ხელისუფლებას ანგარიში გაეწია არსებული კონტექსტისთვის და არ შეეზღუდა აქციის მონაწილეთა მხრიდან პროტესტის ამგვარად გამოხატვა. საია მოუწოდებდა ხელისუფლებას, ძალის გამოყენების გარეშე, კონსენსუსის საფუძველზე დაერეგულირებინა არსებული მწვავე ვითარება.<sup>17</sup>

საბოლოოდ, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა 18 ნოემბერს პარლამენტის 3 შესასვლელი ცოცხალი ძალისა და წყლის ჭავლის გამოყენებით გაათავისუფლეს.<sup>18</sup> საერთო ჯამში, აქციაზე დააკავეს 37 პირი. დაშავდა 4 მონაწილე და 2 სამართალდამცველი.<sup>19</sup>

არასამთავრობო ორგანიზაციებმა ერთობლივი განცხადებით შეაფასეს სასამართლო პროცესების მიმდინარეობა და აღნიშნეს, რომ დაკავებული დემონსტრანტების სასამართლო პროცესები მძიმე დარღვევების ფონზე ჩატარდა:<sup>20</sup> მოსამართლე უგულებელყოფდა კანონით დადგენილ მოთხოვნებს, იყო მიკერძოებული და ზღუდავდა დაკავებულთა უფლებებს; ყველა საქმეს განიხილავდა ერთი

---

<sup>15</sup> „შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება“, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/13132>, განახლებულია: 06.12.2019.

<sup>16</sup> „პიკეტირებაზე დიდი უკანონოება პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე უარის თქმა - ლომჯარია“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 18.11.2019, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/406729/>, განახლებულია: 11.12.2019.

<sup>17</sup> „საიას განცხადება პარლამენტთან მიმდინარე პიკეტირებასთან დაკავშირებით“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://gyla.ge/ge/post/saias-ganckhadeba-rustavelis-gamzirze-mimdinare-piketirebastan-dakavshirebit#sthash.Z2W9otIM.dpbs>, განახლებულია: 06.12.2019.

<sup>18</sup> „რუსთაველის გამზირზე მოძრაობა აღდგა“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 18.11.2019, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/407020/>, განახლებულია: 06.12.2019.

<sup>19</sup> „შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება“, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-informatsia-18-noembers-rustavelis-gamzirze-dakavebuli-da-dashavebuli-pirebis-shesakheb/13138>, განახლებულია: 06.12.2019.

<sup>20</sup> „დაკავებული დემონსტრანტების სასამართლო პროცესები მძიმე დარღვევების ფონზე ჩატარდა“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://gyla.ge/ge/post/dakavebuli-demonstrantebis-sasamartlo-procesebi-mdzime-darghvevebis-fonze-chatarda#sthash.jhQFz1q8.dpbs>, განახლებულია: 06.12.2019.



მოსამართლე, რამაც განხილვის არაგონივრული ვადით გაჭიანურება და დაკავებულთა უფლებების უხეში დარღვევა გამოიწვია; ადვოკატებს არაგონივრულად მცირე დრო ეძლეოდათ საქმის გასაცნობად და მტკიცებულებების მოსაპოვებლად; ზოგიერთ შემთხვევაში, მათ მხოლოდ ორი წუთი მისცეს პოზიციების წარმოსადგენად; პრაქტიკულად ვერცერთ შემთხვევაში პოლიციამ ვერ წარადგინა სათანადო მტკიცებულებები; გაუგებარი იყო მოსამართლის მიერ გამოყენებული სანქციების შერჩევის პრინციპი.

ამ საკითხზე განცხადება გაავრცელა სახალხო დამცველმაც და აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული წესით დაკავებულთა საქმეებს განიხილავდა მხოლოდ ერთი მოსამართლე, რაც, ბუნებრივია, ართულებდა სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას.<sup>21</sup> ომბუდსმენის თქმით, აუცილებელი იყო პროცესში დამატებით სხვა მოსამართლეთა ჩართულობა, რათა დაკავებულთა საპროცესო უფლებები არ დარღვეულიყო.<sup>22</sup>

საპროტესტო აქციები შემდგომშიც გაგრძელდა. დემონსტრანტებმა კვლავ მიმართეს ბლოკირების მეთოდს. 26 ნოემბერს, გამთენიის 5 საათზე, სამართალდამცავებმა იმავე მეთოდით გაათავისუფლეს პარლამენტის შენობის შესასვლელები.<sup>23</sup> შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დააკავეს 28 ადამიანი, სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო სამმა მოქალაქემ.

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) შეფასებით, სახელმწიფომ 26 ნოემბერს არაპროპორციული ძალა გამოიყენა.<sup>24</sup>

## ცესკოს წევრების შერჩევის პროცესი

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 4 წევრს უფლებამოსილების ვადა ეწურება. პრეზიდენტის განკარგულების შესაბამისად, დაინიშნა ღია კონკურსი და

<sup>21</sup> „საქართველოს სახალხო დამცველი ეხმიანება 2019 წლის 18 ნოემბერს დაკავებულ პირთა სასამართლო პროცესებს“, 19.11.2019, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakartvelos-sakhalkho-damtsveli-ekhmianebe-2019-tslis-18-noembers-dakavebul-pirta-sasamartlo-protsebebs>, განახლებულია: 11.12.2019.

<sup>22</sup> იქვე.

<sup>23</sup> „სპეცდანიშნულების რაზმებმა პარლამენტის მიმდებარედ აქცია ისევ დაშალეს“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 26.11.2019, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/409265/>, განახლებულია: 06.12.2019.

<sup>24</sup> „EMC-ის შეფასებით, სახელმწიფომ 26 ნოემბერს არაპროპორციული ძალა გამოიყენა“, EMC-ის ვებგვერდი, 28.11.2019, ხელმისაწვდომია: [https://emc.org.ge/ka/products/emc-shefasebit-sakhelmtsifom-26-noembers-araproportsiuli-dzala-gamoiqena?fbclid=IwAR3qU3Vjq5RO\\_i4Y2CI53AlJf9WpXUz0nXI098KFUJ3XW256pcP1IAgdAIM](https://emc.org.ge/ka/products/emc-shefasebit-sakhelmtsifom-26-noembers-araproportsiuli-dzala-gamoiqena?fbclid=IwAR3qU3Vjq5RO_i4Y2CI53AlJf9WpXUz0nXI098KFUJ3XW256pcP1IAgdAIM), განახლებულია: 12.12.2019.

შეიქმნა საკონკურსო კომისია,<sup>25</sup> რომელშიც შევიდნენ პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და გარეშე პირები.

2019 წლის 20 ნოემბერს გამოქვეყნდა კონკურსში მონაწილე კანდიდატთა 16-კაციანი სია.<sup>26</sup> მათ შორის იყო კომისიის ის 4 წევრი, რომლის პოზიციაზეც ვაკანსია გამოცხადდა.

სახელმწიფოს მეთაურმა საკანონმდებლო ორგანოს, კანონის შესაბამისად,<sup>27</sup> თითო ვაკანტურ თანამდებობაზე ორ-ორი კანდიდატი წარუდგინა.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მხარდაჭერა მიიღეს: დიმიტრი ჯავახაძემ, გიორგი ძაგანამ, გიორგი ჯავახიშვილმა, გიორგი ჭიქაბერიძემ, ვლადიმერ ბოჟაძემ.<sup>28</sup> კანდიდატთა კენჭისყრის პროცედურა პლენარულ სხდომაზე გაიმართება.

## აქციები რეგიონებში

თბილისში მიმდინარე პროტესტის პარალელურად, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების, ძირითადად კი, „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლების ორგანიზებით, აქციები გაიმართა რეგიონებშიც. აქციის მონაწილეები სიმბოლურად ბოქლომებს ადებდნენ პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატების ბიუროებს და აკრავდნენ „სტიკერებს“ წარწერით „დალუქულია“.<sup>29</sup> საიას მონიტორების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, აქციების ჩატარებას ხელს უშლიდნენ მუნიციპალიტეტებისა და მათ მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლები, სახელისუფლებო პარტიის მხარდამჭერები. ისინი მონაწილეებს ცოცხებით

<sup>25</sup> საქართველოს პრეზიდენტის 2019 წლის 5 ნოემბრის №05/11/02 განკარგულება, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.president.gov.ge/getattachment/sajaro-informacia/samartlebrivi-aqtebi/saqartvelos-prezidentis-gankarguleba/11-05-centraluri-saarchevno-komisiis-sakonkurso-komisija.pdf.aspx>, განახლებულია: 06.12.2019.

<sup>26</sup> საქართველოს პრეზიდენტის 2019 წლის 5 ნოემბრის N05/11/02 განკარგულებით გამოცხადებულ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატთა შესარჩევ ღია კონკურსში მონაწილე პირთა სია, 20.11.2019, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.president.gov.ge/geo/pressamsakhuri/siakhleebi/saqartvelos-prezidentis-2019-clis-5-noembris-N05-1.aspx>, განახლებულია: 06.12.2019.

<sup>27</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-12 მუხლის მე-8 ნაწილი.

<sup>28</sup> „იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობის ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად წარმოდგენილ კანდიდატურებს კენჭი უყარა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://parliament.ge/ge/saparlamnto-saqmianoba/komitetebi/iuridiul-sakitxta-komiteti-146/axali-ambebi-iuridiuli/iuridiul-sakitxta-komitetma-centraluri-saarchevno-komisiis-wevrovis-vakantur-tanamdebobaze-asarchevad-warmodgenil-kandidaturebs-kenchi-uyara.page>, განახლებულია: 06.12.2019.

<sup>29</sup> „ევროპული საქართველო“ რეგიონებში მაჟორიტარების ბიუროების „დაბოქლომების“ აქციას ატარებს“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 22.11.2019, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/408235/>, განახლებულია: 12.12.2019.

ხვდებოდნენ და აქციების გამართვის საშუალებას არ აძლევდნენ. საია ყურადღებით აკვირდებოდა მიმდინარე მოვლენებს, განსაკუთრებით, ამ პროცესებში საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული პირების ჩართულობას. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლება პოლიტიკურ დაპირისპირებაში ადმინისტრაციულ რესურსს იყენებდა. გარდა აღნიშნულისა, მიმდინარე წლის 19 ნოემბერს „სამოქალაქო მოძრაობამ“ დააანონსა რეგიონებში კამპანიის დაწყება სახელწოდებით – „ვამხილოთ ფეოდალი მაჟორიტარები“.<sup>30</sup> აქციები, ძირითადად, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, აგრარული ბაზრების მიმდებარე ტერიტორიებზე იმართებოდა. „სამოქალაქო მოძრაობის“ აქტივისტები ადგილობრივ მაჟორიტარ დეპუტატებს კორუფციულ გარიგებებში ადანაშაულებდნენ.<sup>31</sup> ერთ-ერთი აქციის დროს სიღნაღის საკრებულოს წევრებმა „ქართული ოცნებიდან“ და მათმა მხარდამჭერებმა აქტივისტებს ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრის საშუალება არ მისცეს. „სამოქალაქო მოძრაობის“ წარმომადგენლის განცხადებით, საკრებულოს იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ილია ბაიდოშვილმა მათ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და ბანერი დაუხია.<sup>32</sup> ნინო გოგოლაშვილის გამოკითხვის შემდეგ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მუხლით მიმდინარე მოკვლევა სისხლის სამართლის მუხლით გადაკვალიფიცირდა და ამაჟამად გამოძიება სსკ-ის 126-ე მუხლით მიმდინარეობს.<sup>33</sup>

კანონის მიხედვით, სახელმწიფო დაწესებულებებს, თანამდებობის პირებსა და მოქალაქეებს უფლება არ აქვთ, ხელი შეუშალონ აქციის მონაწილეებს საკუთარი შეხედულებების საჯაროდ გამოხატვაში.<sup>34</sup> სახელმწიფო ვალდებულია, მესამე პირებს აქციის გამართვაში ხელშეშლის შესაძლებლობა არ მისცეს.

საიას შეფასებით, აღნიშნული ვალდებულების შესრულებას სახელმწიფო ხელისუფლებამ თავი ვერ გაართვა. სამართალდამცავმა ორგანოებმა ვერ შეძლეს ოპოზიციის წარმომადგენელთა შეკრების უფლების გარანტირება. აღსანიშნავია, რომ

---

<sup>30</sup> „სამოქალაქო მოძრაობა“ მაჟორიტარი ფეოდალების მხილების კამპანიას იწყებს“, „სამოქალაქო მოძრაობის“ ოფიციალური Facebook-გვერდი, 19.11.2019, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/modzraoba.ge/videos/996011110749038/>, განახლებულია: 12.12.2019.

<sup>31</sup> „ვამხილოთ ფეოდალი მაკრაბიძე!“, „სამოქალაქო მოძრაობის“ ოფიციალური Facebook-გვერდი, ხელმისაწვდომია: [https://www.facebook.com/events/555637248346210/?active\\_tab=discussion](https://www.facebook.com/events/555637248346210/?active_tab=discussion), განახლებულია: 12.12.2019.

<sup>32</sup> „ბოდბისხევის ბაზარში ინციდენტთან დაკავშირებით გამოძიება ადმინისტრაციული მუხლით დაიწყო“, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, 24.11.2019, ხელმისაწვდომია: <https://1tv.ge/news/bodbiskhevis-bazarshi-incidenttan-dakavshirebit-gamodzieba-administraciuli-mukhlit-daiwyo/>, განახლებულია: 12.12.2019.

<sup>33</sup> „ბოდბისხევის ბაზარში მომხდარ ინციდენტზე გამოძიება ძალადობის მუხლით გაგრძელდება“, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, 27.11.2019, ხელმისაწვდომია: [https://1tv.ge/news/bodbiskhevis-bazarshi-momkhdar-incidentze-gamodzieba-dzaladobis-mukhlit-gagrdzeldeba/?fbclid=IwAR0QAfiS2678NhN7aX9MgFmnV4Q-V\\_7piMseuS-pKOPz4njRL6ZeUhh2jwA](https://1tv.ge/news/bodbiskhevis-bazarshi-momkhdar-incidentze-gamodzieba-dzaladobis-mukhlit-gagrdzeldeba/?fbclid=IwAR0QAfiS2678NhN7aX9MgFmnV4Q-V_7piMseuS-pKOPz4njRL6ZeUhh2jwA), განახლებულია: 12.12.2019.

<sup>34</sup> საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, მე-12 მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31678?publication=15>, განახლებულია: 12.12.2019.

მსგავსი ხასიათისა და მასშტაბის ძალადობრივი დაპირისპირებები მნიშვნელოვან ზიანს აყენებს პოლიტიკურ/საარჩევნო გარემოს.



საინფორმაციო ტექნოლოგიების მომხმარებელი მოსახლეობის დახმარებით და ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხმარებელი იქნა გაწეული. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მოსახლეობის ეკონომიკური საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას და შესაძლებელია არ გამოხატავდეს USAID-ის და აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

THIS NEWS LETTER WAS MADE POSSIBLE BY THE GENEROUS SUPPORT OF THE AMERICAN PEOPLE THROUGH THE UNITED STATES AGENCY FOR INTERNATIONAL DEVELOPMENT (USAID). THE OPINIONS EXPRESSED IN THIS NEWS LETTER BELONG TO GYLA AND MAY NOT REFLECT THE OPINIONS OF THE DONOR.